

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება 2 ივლისი, 2014 წელი

 Tamar Archuadze · Last edited 15 March at 06:56 · 0-minute read

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოში მიწის გასხვისების პროცესი კვლავ დიწყო. ამის შესახებ ჩვენ კვირის ქადაგებაშიც განვაცხადეთ და ახლაც მასზე გავამახვილებთ ყურადღებას. დღეს, როდესაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზეა და ბევრ შეთხვევაში იძულებულია თავისი ქონება ძალზედ იაფად გაასხვისოს, ახალი რეალობა დიდი დარტყმის წინაშე დააყენებს სახელმწიფოს.

თავისთავად უცხოური კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლა-დამკვიდრება მისასალმებელია, რადგან შეუძლებელია ამის გარეშე ქვეყნის განვითარება, მაგრამ ეს პროცესი უმართავი არ უნდა გახდეს მან არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის - ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მომსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც პირველ რიგში ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდა სამეწარმეო რესურსის გამოყენების საშუალება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ ერთი წელია სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის გამოსწორებისათვის, მაგრამ ამჟამად შექმნილი ვითარება სხვა ქმედებების განხორციელებასაც საჭიროებს; მათ შორის შეღავათიანი და გმელვადიანი სესხების გაცემას.

ამასთან ვთხოვთ ხელისუფალთ - სასწრაფოდ მიიღონ ზომები და, ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად, შეიმუშაონ სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალდეს ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები, მითუმეტეს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა.

თხოვნით მივმართავთ ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს - მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, გარკვეული რეგულაციების დადგენამდე, შეაჩერონ სესხის დაფარვის მიზნით მიწების გასხვისების პროცესი ან შეღავათიანი გადახდის პირობები დააწესონ.

მივმართავთ ჩვენს ბიზნესმენებს - გაააქტიურონ საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში და დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ხელი შეუწყონ ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რათა მათი ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ.

მივმართავთ მიწათმოქმედთ - მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი, დაამუშაონ ნაკვეთები, მოუარონ მას და ამასთან შვილებს შეუნახონ ეს ქონება.

მიწაზე მომუშავე ადამიანმა უნდა იცოდეს ისიც, რომ მის საქმიანობას დალოცვა ჭირდება. სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა უფასოდ ყოველწლიურად უკურთხონ ხალხს ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, ასევე სახლ-კარი, საქონელი და პირუტყვი, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასხვა საშიშირობებისაგან. ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს. საერთოდაც ყველანი უნდა გავერთიანდეთ და სამშობლოს შევეხიდეთ. განსაკუთრებით ვთხოვ ამას ჩვენს ახალგაზრდებს.

მსგავსი პრობლემების წინაშე ჩვენი ქვეყანა XIX საუკუნის დასასრულსაც იდგა, სწორედ ამიტომ დააარსა მაშინ წმ. ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი.

დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ.